



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 6 ივლისი
 № 733 დადგენილებით
მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2021 წლის 24 დეკემბერი
 №01-05-04/204 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საჯარო მმართველობა

PUBLIC ADMINISTRATION

ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Faculty of Business Technology

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი შოთა დოლონაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საჯარო მმართველობის ბაკალავრი

(Bachelor of Public Administration)

კვალიფიკაცია მიენიჭება პროგრამაში არსებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების 225 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების 15 კრედიტის კომბინირებით, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

სტუდენტმა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საჯარო მმართველობის“ ფარგლებში საჯარო მმართველობის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის დონით. პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (225 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (15 კრედიტი).

თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისგან. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას.

პროგრამა შედგება სავალდებულო 210 კრედიტისაგან, მათ შორის უცხოური ენა 22 კრედიტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი მისი სურვილით ირჩევს შეთავაზებული ოთხი სასწავლო კურსიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ერთ-ერთს. ასევე, პრაქტიკა 5 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტი. აგრეთვე არჩევითი სასწავლო კურსები -15 კრედიტი და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (15 კრედიტი).

სასწავლო პროცესის ორგანიზების, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებ გვერდზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

თავისუფალ კომპონენტებს (15 კრედიტი) სტუდენტი ირჩევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნებისმიერი აკრედიტებული პროგრამიდან, საგანზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესი და სტუ-ის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი განთავსებულია სტუ-ის ვებ გვერდზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობის ბაკალავრების მომზადება, რომლებსაც ექნება ფართო ცოდნა საჯარო სამსახურის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ფორმების და მეთოდების, სახელმწიფო სტრუქტურების, ზოგადად მართვის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თანამედროვე ფორმების და სისტემების თაობაზე, კრიტიკული გააზრებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისთვის.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

აღწერს საჯარო მმართველობის სფეროსა და თანამედროვე სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და ფუნქციების, მართვის თეორიებისა და პრინციპების აქტუალურ საკითხებს;

განიხილავს საჯარო სამსახურის ფუნქციონირების კომპლექსურ საკითხებს;

აანალიზებს არსებული გამოწვევების შესაბამისად საჯარო მოხელის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელ პრინციპებს და საჯარო სამსახურის ფუნქციონირების აქტუალურ საკითხებს;

იღებს მონაწილეობას საჯარო მმართველობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით;

ახორციელებს საჯარო სამსახურში, კომერციულ და არასამთავრობო სექტორში მართვის თანამედროვე მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას; არსებული საწესდებო დოკუმენტებისა და

ინსტრუქციების, აგრეთვე ხელმძღვანელის მითითების საფუძველზე სათანადო გადაწყვეტილებათა მისაღებად პროექტებისა და წინადადებების მომზადებასა და ანალიტიკურ საქმიანობას;

პროფესიული ზრდის მიზნით ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს და ახდენს მის პრაქტიკულ განხორციელებას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით;

აგროვებს ინფორმაციას სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით საჯარო მმართველობის ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების მიმართ მოქალაქეთა დამოკიდებულებაზე მისი შემდგომი ანალიზისა და კორექტირების მიზნით;

აყალიბებს დასკვნებს ზოგიერთი სოციალური პრობლემის გადასაწყვეტად და კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმით ეთიკის პრინციპების დაცვით ამზადებს პრეზენტაციებს;

ამზადებს ორგანიზაციების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ ანგარიშებს და აცნობს საჭირო ინფორმაციას კოლეგებსა და საზოგადოებას ქართულ და უცხოურ ენაზე თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

იზიარებს ზოგადსაკაცობრიო, აგრეთვე დარგში აღიარებულ ფასეულობებს და საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელების მნიშვნელობას.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები;

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;

ჯგუფური (collaborative) მუშაობა;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);

შემთხვევების შესწავლა (Case study) ;

გონებრივი იერიში (Brain storming);

დემონსტრირება;

ინდუქცია;

დედუქცია;

ანალიზი;

სინთეზი;

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;

წერიითი მუშაობა;

ახსნა-განმარტება;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;

პროექტი შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებ(ებ)ის კომპონენტ(ებ)ში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასება სასწავლო კურსის პროგრამის შესაბამისად (ჯამში არანაკლებ 30 ქულა), ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით.

დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სტუ-ის ვებ გვერდზე: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

დასაქმების სფერო

საჯარო მმართველობის პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან, როგორც სახელმწიფო, საჯარო, ასევე ბიზნესის სექტორში. მათ ეძლევათ ფართო ასპარეზი პრაქტიკული საქმიანობისთვის:

- საჯარო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობაზე საჯარო დაწესებულებასა და ორგანოებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და

- ადმინისტრირების სხვადასხვა მიმართულებით;
- არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. საჯარო მმართველობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ტექნიკური მოწყობილობით უზრუნველყოფილი აუდიტორიები და საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტი და ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორია. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. დამატებითი ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 64

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კურსი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი										
			I წელი				II წელი						
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
1	წერთი და ზეპირი კომუნიკაციები	არ აქვს	5										
2	უცხოური ენა(ინგლისური B1.1/ გერმანული B 1.1/ფრანგული B1.1/ რუსული B1.1)	უცხოურ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი	6										
3	ფილოსოფიის შესავალი	არ აქვს	5										
4	ეკონომიკის საფუძვლები	არ აქვს	5										
5	მდგრადი განვითარება	არ აქვს	5										
6	კრიტიკული აზროვნების საფუძვლები	არ აქვს	4										
7	უცხოური ენა(ინგლისური B1.2/ გერმანული B 1.2/ ფრანგული B1.2/ რუსული B1.2)	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული/რუსული) –B1.1		6									
8	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	არ აქვს		4									
9	საჯარო მმართველობის საფუძვლები	არ აქვს		5									
10	სოციალური პოლიტიკა	არ აქვს		5									

11	ბიზნესის საფუძვლები	ეკონომიკის საფუძვლები	5						
12	ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	5						
13	უცხოური ენა(ინგლისური B2.1/გერმანული B 2.1/ ფრანგული B2.1/რუსული B2.1)	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული/რუსული) –B1.2	5						
14	საქართველოსა და საზღვარგარეთის საჯარო მმართველობის ისტორია	არ აქვს	5						
15	დოკუმენტმცოდნეობა	არ აქვს	5						
16	პოლიტიკა და სამართალი	ფილოსოფიის შესავალი	5						
17	ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში	არ აქვს	5						
18	უცხოური ენა(ინგლისური B2.2/ გერმანული B 2.2/ ფრანგული B2.2/ რუსული B2.2)	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული/რუსული) –B2.1			5				
19	საქალაქო მეურნეობის მართვა	არ აქვს			5				
20	საჯარო მმართველობის სამართალი	არ აქვს			5				
21	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	არ აქვს			5				
22	ქვეყანათმცოდნეობა	არ აქვს				5			
23	კვლევის მეთოდების საფუძვლები	არ აქვს				5			
24	პროექტის მენეჯმენტი	არ აქვს				5			
25	გეოპოლიტიკა	პოლიტიკა და სამართალი				5			
26	საქმიანი ურთიერთობები	არ აქვს				5			
27	თანამედროვე მენეჯმენტი	ეკონომიკის საფუძვლები				5			
28	ადამიანური რესურსების მართვა	არ აქვს					5		
29	საერთაშორისო საჯარო სამართალი	არ აქვს					5		
30	ადგილობრივი თვითმმართველობა	საჯარო მმართველობის საფუძვლები					5		
31	საჯარო - კერძო პარტნიორობა	არ აქვს						5	
32	სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში	არ აქვს						5	
33	გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე მეთოდები	არ აქვს						5	
34	საჯარო მმართველობის ელექტრონული სისტემები	საჯარო მმართველობის საფუძვლები						5	
35	სტრატეგიული მართვის საფუძვლები	არ აქვს						5	
36	საწარმოო პრაქტიკა საჯარო მმართველობაში	საჯარო მმართველობის საფუძვლები; ადგილობრივი						5	

		თვითმართველობა.								
37	პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობაში	ადგილობრივი თვითმმართველობა								5
38	შესავალი ლოგისტიკაში	არ აქვს								5
39	ელექტრონული მთავრობა	არ აქვს								5
40	ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფია	თანამედროვე მენეჯმენტი								5
41	საბაკალავრო ნაშრომი	საწარმოო პრაქტიკა საჯარო მმართველობაში								10
არჩევითი საგნები				5	10					
42.1	ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა	არ აქვს	5							
42.2	პოლიტოლოგია	არ აქვს								
42.3	დემოკრატია და მოქალაქეობა	არ აქვს								
42.4	სოციოლოგია	არ აქვს								
43.1	საჯარო მმართველობის ორგანოები	არ აქვს			5					
43.2	მუნიციპალური სამართალი	არ აქვს								
43.3	კორპორაციული მართვა	არ აქვს								
43.4	ადამიანის ძირითადი უფლებები	არ აქვს								
43.5	მიკროეკონომიკა	არ აქვს								
43.6	მაკროეკონომიკა	არ აქვს								
44	თავისუფალი კომპონენტი	არ აქვს						15		
სემესტრში			30	30	30	30	30	30	30	30
წელიწადში			60	60	60	60	60	60	60	60
სულ			240							

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი/საათი	საათი										
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუსაემესტროული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა		

1	LEH11912G1-LS	წერიტი და ზეპირი კომუნიკაციები	5/125	15	30					2	2	76
2.1	LEH19212G1-P	უცხოური ენა(ინგლისური B1.1)	6/150			60				1	1	88
2.2	LEH18812G1-P	უცხოური ენა (გერმანული B 1.1)	6/150			60				1	1	88
2.3	LEH18612G1-P	უცხოური ენა (ფრანგული B1.1)	6/150			60				1	1	88
2.4	LEH19012G1-P	უცხოური ენა (რუსული B1.1)	6/150			60				1	1	88
3	HEL30512G1-LS	ფილოსოფიის შესავალი	5/125	15	30					2	2	76
4	SOS11112G1-LS	ეკონომიკის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
5	BUA80513G1-LS	მდგრადი განვითარება	5/125	15	30					2	2	76
6	BUA88813G1-LS	კრიტიკული აზროვნების საფუძვლები	4/100	15	15					1	1	68
7.1	LEH19312G1-P	უცხოური ენა(ინგლისური B1.2)	6/150			60				1	1	88
7.2	LEH18912G1-P	უცხოური ენა (გერმანული B 1.2)	6/150			60				1	1	88
7.3	LEH18712G1-P	უცხოური ენა (ფრანგული B1.2)	6/150			60				1	1	88
7.4	LEH19112G1-P	უცხოური ენა (რუსული B1.2)	6/150			60				1	1	88
8	BUA81213G1-LS	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	4/100	15	15					2	2	66
9	BUA80413G1-LS	საჯარო მმართველობის საფუძვლები	5/125	15	30					1	1	78
10	BUA81413G1-LS	სოციალური პოლიტიკა	5/125	15	30					1	1	78
11	BUA43513G1-LSP	ბიზნესის საფუძვლები	5/125	15	24	6				2	2	76
12	BUA82213G1-LS	ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები	5/125	15	30					1	2	77
13.1	LEH10412G1-P	უცხოური ენა(ინგლისური B2.1)	5/125			45				1	1	78
13.2	LEH11212G1-P	უცხოური ენა (გერმანული B 2.1.)	5/125			45				1	1	78
13.3	LEH10812G1-P	უცხოური ენა (ფრანგული B2.1)	5/125			45				1	1	78
13.4	LEH11612G1-P	უცხოური ენა (რუსული B2.1)	5/125			45				1	1	78
14	BUA81113G1-LS	საქართველოსა და საზღვარგარეთის საჯარო მმართველობის ისტორია	5/125	15	30					1	1	78
15	BUA80313G1-LS	დოკუმენტმცოდნეობა	5/125	15	30					1	1	78
16	BUA88913G1-LS	პოლიტიკა და სამართალი	5/125	15	30					1	1	78
17	BUA81913G1-LB	ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში	5/125	15	30					2	1	77
18.1	LEH10512G1-P	უცხოური ენა(ინგლისური B2.2)	5/125			45				1	1	78
18.2	LEH11312G1-P	უცხოური ენა (გერმანული B 2.2)	5/125			45				1	1	78

18.3	LEH10912G1-P	უცხოური ენა (ფრანგული B2.2)	5/125			45				1	1	78
18.4	LEH11712G1-P	უცხოური ენა (რუსული B2.2)	5/125			45				1	1	78
19	BUA87713G1-LP	საქალაქო მეურნეობის მართვა	5/125	15		30				2	2	76
20	LAW12311G1-LS	საჯარო მმართველობის სამართალი	5/125	15	30					1	2	77
21	BUA82513G1-LS	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78
22	BUA44713G1-LS	ქვეყანათმცოდნეობა	5/125	15	30					2	2	76
23	BUA89013G1-LS	კვლევის მეთოდების საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
24	BUA82013G1-LP	პროექტის მენეჯმენტი	5/125	15		30				2	2	76
25	BUA81813G1-LS	გეოპოლიტიკა	5/125	15	30					1	1	78
26	BUA81313G1-LS	საქმიანი ურთიერთობები	5/125	15	30					1	1	78
27	BUA80913G1-LSP	თანამედროვე მენეჯმენტი	5/125	15	30					1	2	77
28	BUA87613G1-LS	ადამიანური რესურსების მართვა	5/125	15	30					1	2	77
29	LAW12311G1-LS	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5/125	15	30					2	2	76
30	BUA83113G1-LS	ადგილობრივი თვითმმართველობა	5/125	15		30				2	2	76
31	BUA89113G1-LS	საჯარო - კერძო პარტნიორობა	5/125	15	30					2	2	76
32	BUA89213G1-LS	სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში	5/125	15	30					1	1	76
33	BUA80613G1-LS	გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე მეთოდები	5/125	15	30					2	2	76
34	BUA80113G1-LSB	საჯარო მმართველობის ელექტრონული სისტემები	5/125	15	15		15			2	1	77
35	BUA82413G1-LS	სტრატეგიული მართვის საფუძვლები	5/125	15	30					1	1	76
36	BUA80213G2-R	საწარმოო პრაქტიკა საჯარო მმართველობაში	5/125		15		30			1	1	78
37	BUA81013G1-LS	პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობაში	5/125	15	30					2	2	76
38	BUA82613G1-LS	შესავალი ლოგისტიკაში	5/125	15	30					2	2	76
39	BUA80813G1-LP	ელექტრონული მთავრობა	5/125	15	30					2	2	76
40	BUA82113G1-LS	ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფია	5/125	15	30					1	2	76
41	BUA87813G1-K	საბაკალავრო ნაშრომი	10/25 0						60		1	189
42.1	BUA89313G1-LS	ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა	5/125	15	30					1	1	78

42.2	SOS20213G1-LS	პოლიტოლოგია	5/125	15	30					1	1	78
42.3	BUA83413G1-LS	დემოკრატია და მოქალაქეობა	5/125	15	30					2	1	78
42.4	SOS40212G1-LS	სოციოლოგია	5/125	15	30					1	1	78
43.1	BUA83713G1-LS	საჯარო მმართველობის ორგანოები	5/125	15	30					2	2	76
43.2	BUA83313G1-LS	მუნიციპალური სამართალი	5/125	15	30					2	2	76
43.3	BUA83613G1-LS	კორპორაციული მართვა	5/125	15	30					2	2	76
43.4	BUA82613G1-LS	ადამიანის ძირითადი უფლებები	5/125	15	30					2	1	77
43.5	SOS10412G1-LS	მიკროეკონომიკა	5/125	15	30					1	1	78
43.6	SOS10512G1-LS	მაკროეკონომიკა	5/125	15	30					1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

შოთა დოლონაძე

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 10.05.2011წ. ოქმი №22

მოდიფიცირებულია

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 22.12. 2021 წელი ოქმი №14

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე